საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

N 157

ქალაქი ქუთაისი 28 მარტი 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების თანახმად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის სისწორის შემოწმების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2024 წლის 28 მარტს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“** მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება:

„**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება. გამომდინარე აქედან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **მახარაძე ბაქარ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **კოპალეიშვილი ამირან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **სიმონიძე მაია**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 36
29-03-2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საქართველო

4. **ნიუარაძე მარეხ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. **მამასახლისი ზაქრო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. **ბასილაძე გია**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

7. **ლილუაშვილი პაატა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

8. **შენგელია ირაკლი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

9. **ჭოხონელიძე მერაბ**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

10. **კილაძე გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ;

11. **ბახტაძე დავით**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ;

12. **მანგაძე გაგა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ;

13. **ქვაჩაკიძე რომან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ მიერ;

14. **არჩაია ელეონორა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

15. **გურული კობა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

16. **ფხაკაძე დარეჯან**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 28 მარტის 55-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის)“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია